ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

კინტრიშა-2 ჰესის პროექტის
საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

9 ნოემბერი, 2013 წ.

წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს კინტრიშა-2 ჰესის პროექტის საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

- განსახილველად წარმოდგენილი ანგარიშიდან ნათელია, რომ პროექტის გარემოზე ზემოქმედება პრაქტიკულად ანალოგიურია იმ ზემოქმედებისა, რომელიც აღწერილი იყო 2012 წელს „კინტრიშა 2 ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში“. ახლად წარმოდგენილ გზშ ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის ინიციატორი გვთავაზობს თითქმის იმავე პარამეტრებისა და დიზაინის ჰესის მშენებლობას, რასაც წინა პროექტით გვთავაზობდა. ამ ორი გზშ ანგარიშის შედარებისას, სამწუხაროდ, არ ჩანს, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში პროექტის ავტორებმა რაიმე მნისვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს კლვევების განხორციელებისა და გზშ ანგარიშის ხარისხის გაუმკობესების თვალსაზრისით.

- გაუგებარია, რამდენი იქნება საბოლოოდ ჰესის დადგმული სიმძლავრე. 1 ქვეთავში, ნათქვამია, რომ *„კინტრიშა 2 ჰესი **5.5** მგვტ-ი სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს“* (გვ. 13). ანგარიშის 5.3.1 ქვეთავში კი ნათქვამია „საბოლოოდ ჰესის ადგილმდებარეობა, რამოდენიმე შესაძლო ვარიანტიდან შეირჩა მნიშვნელოვანწილად ჰესის 6,6 მგვტ სიმძლავრის უზრუნველსაყოფად“ (გვ. 92), დოკუმენტის დასაწყისში კი 6.0 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურის მშენებლობაზეა საუბარი.

- გზშ ანგარიშის უდიდესი ნაწილი ეთმობა ფონური მდგომარეობისა და ჰესის ტექნიკური მახასიათებლების აღწერას (მაგ: მე-5 ქვეთავი), მნიშვნელოვანი მოცულობა უკავია სხვადასხვა რუკებსა და ფოტოებს, რომლებიც არასაკმარისი ახსნა-განმარტების გამო, ნაკლები სარგებელი მოაქვთ გზშ ანგარიშის განხილვისას. ანგარიშში წარმოდგენილი ტექნიკური დახასიათების დიდი ნაწილი უფრო შესაფერისი იქნებოდა საინჟინრო-ტექნიკური პროექტისთვის, ვიდრე გზშ ანგარიშისთვის.

- ანგარიშის მე-6 თავის (მშენებლობის ორგანიზაცია და სამუშაოთა წარმოება) მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ზოგადად, თეორიულად, ნებისმიერი (ჰესის) მშენებლობის ეტაპების აღწერას, ნაწილი კი, მშენებლობის წარმოებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეტალებს. ამასთან,

ამ თავში გაბნეულია ისეთი ინფორმაციაც, რომელიც შესაფერისი იქნებოდა, ასახულიყო პროექტის აღწერის თავში, მაგრამ ასეთი თავი საერთოდ არ არის წარმოდგენილი ანგარიშში და პროექტის შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა თავებში.

- პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედებების გამოვლენასა და შეფასებას ჯამში სულ დაახლოებით 13 გვერდამდე ეთმობა. ეს საკითხები მიმობნეულია ანგარიშის მე-8 (პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედება) და მე-10 (ნარჩენების განთავსება) თავებში. მათი შინაარსი ვერ აკმაყოფილებს საქარტველოს კანონმდებლობით გზშ ანგარიშისათვის წარდგენილ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გაიცეს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

- გაუგებარია, რას ემსახურება ანგარიშის ბოლო, ერთგვერდიანი მე-13 თავი - „დასკვნები და რეკომენდაციები“. აქ არ არის შეჯამებული შეფასების შედეგები; გაუგებარია, ვინ არის წარმოდგენილი რჩევების/რეკომენდაციების ადრესატი, ვინაიდამ პროექტის წარმომდგენი - „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ უნდა იღებდეს ვალდებულებებს და არა გასცემდეს რეკომენდაციებს.

- კინტრიშა-2 ჰესის პროექტის აღწერა არასრულყოფილადაა წარმოდგენილი გზშ ანგარიშში და არ პასუხობს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

- ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში არაერთხელ ერთმანეთის შეუსაბამო ინფორმაციას ვხვდებით. მაგალითად: ანგარიშის პირველ თავში (ჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები) აღნიშნულია, რომ კაშხლის სიმაღლე იქნება 6 მეტრი. ანგარიშის მე-3 თავში კი (3.10 მაღალსენსიტიური ადგილები), ნათქვამია, რომ კაშხლის სიმაღლე იქნება 4 მეტრამდე.

- ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საპროექტო ჰესის ადგილმდებარეობა, არ არის გასაგებად აღწერილი და დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია გაბნეული. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის აღწერა გვხვდება ანგარიშის მე-6.2 თავში (გვ. 125) და ისიც სულ ორი წინადადებით შემოიფარგლება: *„კინტრიშა ჰესის მშენებლობა გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის აჭარის რეგიონის, ქობულეთის რ-ის, ს. ქობალაურსა და ს. კახათს შორის. მშენებლობის რ-ნი მდებარეობს ქ. ქობულეთის აღმოსავლეთით 15-20 კმ-ზე“* (იგივეა აღნიშნული 3.9 თავში - ნიადაგები). ასევე თავი 3.10 (ფლორა და ფაუნა), გვ. 67, აღნიშნულია „GPS-ის კოორდინატებია N41047’34.8’’/E 041057’11.0’’, 160 მ ზღ. დ. აქ არის ჰესის შენობის და ტურბინების სავარაუდო ადგილი“; იქვე: „კოორდინატებია N41046’50.2’’/E 041058’02.0’’, 230 მ ზღ. დ. დახრილობა 350. აქ არის კაშხლის სავარაუდო ადგილი“. მკითხველისთვის გაუგებარი რჩება, რა მანძილითაა დაშორებული საპროექტო ტერიტორია დასახლებებიდან, ადგილობრივი ინფრასტრუქტურიდან და განსაკუთრებით, კინტრიშის დაცული ტერიტორიებიდან (კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი).

- არასრულყოფილია ინფორმაცია კინტრიშის დაცული ტერიტორიების შესახებ (სულ სამ აბზაცს მოიცავს ანგარიშის მე-3 თავი (ქვეთავი 3.11 დაცული ტერიტორიები). არაფერია ნათქვამი საპროექტო ტერიტორიის დაშორებაზე დაცული ტერიტორიებიდან. ანგარიშში ნათქვამია, რომ *„კინტრიშას დაცული ტერიტორიები... სოფელ ცხემლოვანსა და ხინოს მთის შუაა მოქცეული“*. იმის გათვალისწინებით, რომ მდ. კინტრიშის წყალშემკრები აუზიც იწყება სწორედ ხინოს მთიდან, სრულიად შესაძლებელია, რომ საპროექტო ტერიტორიამ მოიცვას კინტრიშის დაცული ტერიტორიების გარკვეული ნაწილიც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საპროექტო ტერიტორია არ მოიცავს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადგილებს, მნიშვნელოვანია, რომ ნათელი იყოს დაშორება, რათა სრულფასოვნად შეფასდეს პროექტის ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე და ზეგავლენის შემთხვევაში, დადგინდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. საერთოდ არ არის აღწერილი პროექტის ზეგავლენა დაცული ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე, მით უმეტეს, რომ მდინარე კინტრიში გამოივლის ამ დაცულ ტერიტორიას და ამ ჰაბიტატის მდგომარეობაზე დამოკიდებულია ნაკრძალში მობინადრე არაერთი სახეობის პოპულაცია (განსაკუთრებით, მიგრირებადი სახეობები). ის გარემოება, რომ პროექტის თავდაპირველმა ინვესტორმა, „აჭარა ენერჯი 2007“-მა პროექტის განხორციელებაზე სწორედ დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვის გამო განაცხადა უარი, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვის და პროექტის დაცულ ტერიტორიებზე ზეგავლენის საკითხი გამიზნულად არ არის განხილული გზშ ანგარიშში.

- საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება. გზშ ანგარიშში (და ისიც მე-8.3 ქვეთავში) მოყვანილია შემდეგი ზოგადი დასაბუთება: *„საქართველოს ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოცემულია ჰესების მშენებლობის გავლენის პროგნოზი რესპუბლიკის ეკონომიკაზე. მათი დასკვნის თანახმად ჰესების მშენებლობა დადებით გავლენას მოახდენს არა მარტო რეგიონების, არამედ მთელი საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. იგი ხელს შეუწყობს საწარმოო ძალთა რაციონალურ განლაგებას, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას, განსაკუთრებით გაზრდის მოსახლეობის შრომის ანაზღაურებას, აამაღლებს მათ მატერიალურ და კულტურულ დონეს. ჰესის მშენებლობა არა მარტო ფულადი შემოსავლის ზრდას უზრუნველყოფს, არამედ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომსახურების სფეროს განვითარებას“*. ეს ჩანაწერი, რომელიც ძალზე ჰგავს საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოდან ამონარიდს, არაფრისმთქმელია თავად კინტრიშის ჰესის პროექტზე.

- გვ. 71-ზე აღნიშნულია - „კინტრიში2 ჰესის მშენებლობა და ოპერირება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტის, კერძოდ სოფელ ქობალაურის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში. ქონების გადასახადების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შევა მნიშვნელოვანი თანხები“. სოფელ ქობალაურს არანაირი ბიუჯეტი არ გააჩნია და შესაბამისად, ეს დაშვებაც საფუძველსაა მოკლებული.

- ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ *„სამშენებლო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მუშების მოთხოვნილების 60% საკუთარი კადრებით, ხოლო 40% უნდა იყოს მოწვეული“*. აქვე ვარაუდის სახითაა მოცემული, რომ *„ადგილობრივი მუშების დაქირავება შესაძლებელია მდ. კინტრიშას ხეობაში განლაგებული სოფლებიდან ხუცუბანი, კოხი, ჭახათი, ქობალაური და სხვა“*-გვ 126. ამ

ჩანაწერიდან არ არის საბოლოოდ ნათელი, იღებს თუ არა პროექტის განმახორციელებელი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას და თუ იღებს, რამდენი იქნება ადგილობრივთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში; ასევე, რა მექანიზმებით იქნება შესაძლებელი დაინტერესებული მხარეებისთვის გადამოწმდეს, რამდენი ადგილობრივი იქნა დასაქმებული პროექტში. მით უმეტეს, რომ ანგარიშის სხვა ნაწილში სხვა მონაცემებია აღნიშნული - გვ. 71 „აღსანიშნავია მაღალანაზღაურებადი დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაღალი ალბათობა _ როგორც მსგავსი პროექტების განხორციელების პრაქტიკა გვიჩვენებს, ჰესის მშენებლობისას დასაქმებულთა მხოლოდ 5-10%-ს შეადგენს დედაქალაქიდან და სხვა რეგიონებიდან მოწვეული მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. მომსახურე პერსონალის დანარჩენი 90% (არაკვალიფიცირებული მუშახელი) კონკურსების გზით შეირჩევა ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომელთაც ჩაუტარდებათ სათანადო ტრეინინგები. ადგილობრივების მაღალი წილი იქნება ასევე ჰესის ოპერირების დროს დასაქმებულთა შორისაც“. ბოლო დროს ჰესების პროექტებთან დაკავშირებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გზს ანგარიშებში დასაქმებასთან დაკავშირებით მოცემული დაპირებები არ სრულდება. მაგალითად, „დარიალჰესისა“ და „ლარსიჰესის“ მშენებლობაზე, გზშ ანგარიშების თანახმად, ჯამში დასაქმებული უნდა იყოს 250 ადამიანი, ხოლო რეალურად დასაქმებულია - 67. გზშ ანგარიშებში მოცემულ მსგავს შეპირებებზე არანაირ კონტროლსა და მონიტორინგს არ ახორციელებენ პასუხისმგებელი უწყებები, რის შედეგადაც ისინი არ სრულდება და მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოებული კამპანიისთვის გამოიყენება.

- არ არის განხილული პროექტის საჭიროება - რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს მისი განხორციელება ქვეყანას, რეგიონს, პროექტის უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საერთოდ არ არის შეფასებული). ეს ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ შეაფასონ, რამდენად ღირებულია კინტრიშის ჰესის პროექტი იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს პროექტს.

- კინტრიშის ჰესის პროექტის მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, განსაზღვრულია რამოდენიმე მილიონი ევროს გამოყოფა საქართველოს დაცული ტერიტორიების, მათ შორის, კინტრიშის დაცული ტერრიტორიების შესაძლებლობათა გაძლიერებისთვის. ამდენად, დაგეგმილი კინტრიშის ჰესის პროექტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გერმანულ მხარეს.

- გზშ ანგარიშში მეტად არასრულყოფილადაა განხილული პროექტის ალტერნატიული ვარიანტები. ანგარიშის მე-4 ქვეთავში მოცემულია ალტერნატივა პროექტის გარეშე, რეგულირებადი ტიპის ჰესის მოწყობის და დერივაციული ტიპის ჰესის მოწყობის ალტერნატივები. მეტად არადამაჯერებლადაა წარმოდგენილი ალტერნატივა პროექტის გარეშე.

- რაც შეეხება ჰესის განთავსების ანუ ადგილმდებარეობის ალტერნატივას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას გზშ დოკუმენტის სრულიად სხვა ქვეთავში, 5.3.1 ქვეთავში

ვხვდებით „კონსტრუქცია და გაბარიტები“, რომელიც ასევე არასრულყოფილად და მეტად ზედაპირულადაა მიმოხილული. აქ მხოლოდ განხილულია ჰესის განთავსების ორი ვარიანტი მდინარის ნაკადის პარალელურად და მდინარის ნაკადის მართობულად (გვ. 93).

- ანგარიშში საერთოდ არაა წარმოდგენილი ტექნოლოგიური ალტერნატივები.

- პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლება დაკავშირებული ეკოლოგიური ხარჯის დადგენასთან. სწორედ ამ პარამეტრთანაა დაკავშირებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ბიოლოგიურ გარემოზე ზეგავლენა და რამდენად შესაძლებელი იქნება პროექტის განხორციელება გარემოსდაცვითი მოსაზრებების გამო.

- ნაცვლად ეკოლოგიური ხარჯისა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა წყლის ის რაოდენობა, რომელიც არ მოახდენდა ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას, რასაც მოითხოვს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობა, მოცემულია საბჭოური „სანიტარული ხარჯი“. თუმცა ზოგიერთი გზშ ანგარიშისგან განსხვავებით, „სანიტარულ ხარჯს“ ხელოვნურად არ უწოდებენ „ეკოლოგიურ ხარჯს“. არ არის გამოყენებული ეკოლოგიური ხარჯის დადგენის თანამედროვე მიდგომები და მეთოდოლოგია. მიზანშეწონილია, რომ გამოყენებული იქნას ასეთი მეთოდოლოგია, წინააღმდეგ შემთხვევაში, გზშ ანგარიში მეტად მცდარ დასკვნებს გააკეთებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოვლენ როგორც საქართველოს (კანონები „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ და ა.შ.), ისე საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და ევროკავშირის დირექტივებთა (ჰაბიტატების დირექტივა, წყლის დირექტივა, გარემოზე ზემოქმედების შესახებ დირექტივა).

- მკითხველისათვის დამაბნეველია, რომ გზშ დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში გაბნეული სხვადასხვა სახის ინფორმაცია სანიტარულ ხარჯათან დაკავშირებით. მაგალითად, თავდაპირველად ამ საკითხს ვხვდებით გზშ ანგარიშის 3.3 ქვეთავში, რომლის მიხედვითაც „საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის კვეთში დადგენილი იქნა საანგარიშო უზრუნველყოფის (P=50%) საშუალო წლიური ხარჯის ყოველდღიური ხარჯების სიდიდეები“. მე-5.2 თავში (გვ.79) კი ნათქვამია „*ჰიდროენერგეტიკულ გაანგარიშებაში სანიტარული ხარჯის სიდიდედ მიღებულია საშუალომრავალწლიური ხარჯის 10%*“. ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვხვდებით 5.3.1 ქვეთავში, სადაც ნათქვამია, რომ *„სანიტარული ხარჯის სიდიდე 1,25 მ³/წმ შეადგენს სათავე ნაგებობის მოწყობის კვეთში, მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ს, რაც მიღებულია საქართველოში ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების პროექტირების პრაქტიკაში და ასევე შესაბამასობაშია მთელ რიგ სხვა ქვეყნებში მოქმედ მდინარის სანიტარული ხარჯის განსაზღვრის ნორმებთან“.*

- დასაბუთება, რომელიც წარმოადგენილია დოკუმენტში, თუ რატომ იქნა არჩეული პროექტის განხორციელებისათვის მდინარის წყლის 90%-ის სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდება და მდინარეში მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვება, ეყრდნობა მხოლოდ ტექნოკრატიულ მოსაზრებებს (მაგ. გვ. 24) და არ ითვალისწინებს, თუ რა ზეგავლენა ექნება ამას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და რამდენად შეესაბამება აეს ზეგავლენა

გარემოსდაცვით კანონმდებლობას: საკმარისი იქნება მდინარეში დატოვებული წყალი მდინარის ეკოსისტემისთვის და კერძოდ, მდინარე კინტრიშზე დამოკიდებული ფლორის სახეობებისათვის, ფაუნისთვის, მათ შორის თევზებისთვის. ასევე არ არის გამოკვლეული მდ. კინტრიშის საპროექტო მონაკვეთზე დამოკიდებული წყალმოსარგებლეები და რა ზეგავლენას მოახდენს მათზე წყლის დერივაცია.

- ყურადსაღებია, ის ფაქტიც, რომ ჰიდროლოგიური კვლევები ემყარება სოფელ კოხთან მდებარე ჰიდროლოგიური საგუშაგოს მხოლოდ 1941-1990 წლების მონაცემებს, რაც ასევე არ იძლევა მყარი დასკვნების გაკეთების საშუალებას. მდ. კინტრიშის მყარი ჩამონადენის საანგარიშო სიდიდეების დასადგენად გამოყენებულია აგრეთვე ძველი - 1965-1986 წლების პერიოდის მონაცემები. ფაქტიურად, არ არსებობს ბოლო 22-26 წლის დაკვირვების მონაცემები, რაც ანგარიშში წარმოდგენილ გათვლებს სანდოობას უკარგავს. კითხვები ამ მონაცემების მართებულობაზე თავად გზშ ავტორებსაც გააჩნიათ: „როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთებში არარეალურად დაბალია ჰიდროლოგიურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მაქსიმალურ ხარჯებზე, რაც შესაძლებელია აიხსნას წყლის რეალური მაქიმალური ხარჯების დაკვირვებებს შორის პერიოდში გავლით და შესაბამისად მათი აღურიცხველობით - გვ. 28.“

- მეტად სადავოა ასევე ისიც, თუ რამდენად გამართლებულია გათვლების ჩასატარებლად სოფელ კოხთან მდებარე ჰიდროლოგიური საგუშაგოს მონაცემების გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ საგუშაგო მდებარეობს მდინარის ქვედა ბიეფში; ამასთან, ზედა ბიეფში მდინარეს ერთვის არაერთი შენაკადი, რომლის ჰიდროლოგიური დაკვირვების მონაცემები ასევე არ არსებობს.

- პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედებების გამოვლენის, შეფასებისადმი მიძღვნილი ნაწილი ერთ-ერთი ყველაზე სუსტია გზშ ანგარიშში. ანგარიშის მე-8 თავის შესავალ ნაწილში (გვ. 138) აღნიშნულია, რომ გზშ ანგარიშის ეს ნაწილი ძირითადად ეყრდნობა „არსებულ შესაბამის ანგარიშებსა და ლიტერატურას“ და დეტალური შესწავლა ჩატარდება მაშინ, „როდესაც პროექტი მიიღებს დასრულებულ სახეს“. ასეთი ჩანაწერი ვერაფრით ვერ ამართლებს ანგარიშის ამ მეტად მნიშვნელოვან ნაკლოვანებას და მიუთითებს, რომ ვერ აკმაყოფილებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნებს. თუ პროექტი „დაუსრულებელია“, მაშინ გაუგებარია, როგორ იქნა გამოვლენილი ანგარიშში წარმოდგენილი ზეგავლენის სახეები და შემარბილებელი ღონისძიებები; ასევე, გაუგებარია, რატომ და რომელი პროექტის შესაბამისად მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები საპროექტო ტერიტორიაზე?

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების თანახმად, გზშ ანგარიშში უნდა იყოს ასახული სრულფასოვნად პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედებები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმები. მსგავსი კი წარმოადგენილ ანგარიშში არ გვხვდება, რაც წარმოადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის გაცემის საფუძველს.

გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების აღსაწერად, მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

1. ანგარიშში არ არის განხილული ზეგავლენა კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელოვნება და შესაბამისად არ არის დადგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

2. მაშინ, როდესაც დაგეგმილი ჰესი დერივაციული ტიპის ჰესია და ითვალისწინებს ორ კილომეტრზე მეტ მანძილზე წყლის უდიდესი ნაკადის - 90%-ის - სადერივაციო გვირაბში (1820 მ) გადაგდებას, პროექტის პოტენციური ზეგავლენებისადმი მიძღვნილ თავში (თავი 8) რატომღაც საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ჰესის წყალსაცავის მშენებლობითა და ოპერირებით გამოწვეულ ზემოქმედებებზე.

3. ანგარიშის მე-5 თავში (გვ.90) აღნიშნულია, რომ სადერივაციო არხის გასაყვანად და სადაწნეო აუზის ქვაბულის დასამუშავებლად აუცილებელი იქნება „წვრილშპუროვანი მეთოდით“ აფეთქებების ჩატარება. ამ ღონისძიების ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე და მიმდებარე დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაზე საერთოდ არ არის შესწავლილი, არ არის დადგენილი ზეგავლენის მნიშვნელოვნება და არ არის შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები.

4. საერთოდ არაფერია ნათქვამი, რა სახის ზეგავლენას იქონიებს (სახეობების მიხედვით) ფლორაზე ზედაპირული წყლისა და მიწისქვეშა წყლების შემცირება.

5. ანგარიშში ცალკე (მე-10) თავი ეთმობა ნარჩენების მართვის საკითხებს, თუმცა ამ გვერდნახევრიან თავში წარმოდგენილი ინფორმაციიდან მხოლოდ რამოდენიმე აბზაცი ეხება უშუალოდ პროექტს - დანარჩენი უბრალოდ ნარჩენების მართვის თეორიული საკითხების მიმოხილვაა. მაგალითისთვის, ანგარიშის თანახმად, *"საშიში და ჩვეულებრივი სახის ნარჩენები უნდა იყოს სეგრეგირებული და განთავსებული სხვადასხვა სახის კონტეინერებში"*. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, საბოლოოდ რა დაემართება ამ ნარჩენებს და სად მოხდება მათი საბოლოო განთავსება; აგრეთვე, არ არის მითითებული, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი წარმოქმნილი ნარჩენის საბოლოო განთავსებაზე.

თუკი პროექტის განმახორციელებელი ნარჩენებს ნაგავსაყრელებზე განათავსებს, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების უმეტესი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ გარემოსდაცვით სტანდარტებსაც კი. ამდენად, აუცილებელია, შესწავლილ იქნეს პროექტის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ზეგავლენა ნარჩენების განთავსების ადგილებზე და დოკუმენტში ზუსტად იქნეს წარმოდგენილი, ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილი.

6. ცხრილში, სადაც აღწერილია „ნეგატიური ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში“ (გვ. 155) შემარბილებელ ღონისძიებებს შორის მოხსენიებულია „კომპენსაციები კერძო მიწათმფლობელებს“ - მაშინ, როდესაც მთელს ანგარიშში საერთოდ არ არის აღწერილი, ექნება, თუ არა პროექტს ზეგავლენა და როგორი ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ საკუთრებაში და/ან სარგებლობაში მყოფ მიწებზე.

ამავე ცხრილში, ნეგატიურ ზემოქმედებებს შორის, მოხსენიებულია „მშენებლობაზე დაკავებული მუშების ბრაკონიერობა“ და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებად მოყვანილია „ბრაკონიერობის აკრძალვა“. გზშ ანგარიშის ავტორებისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ბრაკონიერობა აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით და ასეთ ქმედებას მოჰყვება შესაბამისი სანქციები, ამდენად, „ბრაკონიერობის აკრძალვა“ ვერ იქნება განხილული შემარბილებელ ღონისძიებად. ასეთი შემარბილებელი ღონისძიების დასახვა მეტად უცნაურია, რადგან ანგარიშის მიხედვით, საფრთხის წყაროს წარმოადგენენ „მშენებლობაზე დაკავებული მუშები“.

7. წარმოდგენილი ანგარიშის 3.10 ქვეთავი - „ფლორა და ფაუნა“ - ერთ-ერთი უსუსტესია, ვინაიდან არ შეიცავს, პრაქტიკულად, არანაირ ღირებულ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დაგეგმილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნებაზე მიმართული საფრთხეების გამოვლენასა და შემარბილებელი ღონისძიებების დადგენას. ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ამ ტერიტორიის აღწერილობა სულ ორიდე გვერდს მოიცავს.

- ანგარიშის 66-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ბოტანიკური აღწერილობა ეყრდნობა ლიტერატურულ წყაროებს, საველე კვლევებსა და ასევე „საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას“. იმის გამო, რომ ანგარიშში არ არის მითითებული, ვის ცოდნასა და გამოცდილებაზეა საუბარია, შეუძლებელია შეფასდეს, რამდენად ღირებულია ის. ანგარიშში არ არის მოხსენიებული რაიმე ლიტერატურული წყარო; შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს, რამდენად სწორადაა ისინი შერჩეული და გამოყენებული.

- რაც შეეხება საველე კვლევებს, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „*დეტალური საველე კვლევების შედეგად დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხის ხუთი სახეობა*“. აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ დასახელებული ხუთივე სახეობა დიდი ზომის ხე-მცენარეა; ამ ხე-მცენარეებთან მიმართებაში ფრაზის - „დეტალური საველე კვლევა“ გამოყენება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. ის, რომ საველე კვლევა არ ჩატარებულა, ან მეტად ზედაპირული იყო, ზემოხსენებულთან ერთად, მტკიცდება ანგარიშში წარმოდგენილი შემდეგი ჩანაწერითაც: „*მშენებლობის წინა ბოტანიკური კვლევების დროს საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეთა სახეობების სია სავარაუდოდ გაიზრდება*“. ეს ფრაზა ზედიზედ ორჯერ მეორდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კვლევის ზერელე ხასიათზე; ამასთან, არაფერია ნათქვამი, აისახება თუ არა ამ სიის გაზრდა პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, მის მიმდინარეობაზე ან/და შემარბილებელ ღონისძიებებზე.

- კიდევ უფრო სუსტი და ზერელეა 3.10 ქვეთავში მოცემული „ცხოველთა სამყაროს მდგომარეობა“, რომელიც ფაუნას ეხება და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მთელი ანგარიშის უხარისხობას. თეორიულადაც კი, შეუძლებელია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ბინადრობდნენ ანგარიშში დასახელებული ზოგიერთი სახეობა (მაგ., კავკასიური როჭო ან კასპიური შურთხი).

- ანგარიში არ განასხვავებს, რომელ სახეობებზე არ ექნება ზეგავლენა შემოთავაზებულ პროექტს და რომელი სახეობები აღმოჩნდენიან საფრთხის წინაშე, პროექტის განხორციელების შემთხვევაში. მაგალითად, ერთნაირი მოცულობითაა „განხილული“ კავკასიური ციყვი,

რომელიც სიცოცხლის ძირითად ნაწილს ხეზე ატარებს, კავკასიური როჭო და კასპიური შურთხი, რომლებიც სუბალპებში ცხოვრობენ (და საერთოდ, ფრინველები არიან) და ევრაზიული წავი (Lutra lutra), რომელიც წყლის ცხოველია და მისი პოპულაციის არსებობა მთლიანად დამოკიდებულია წყლის ხარისზე, ჰაბიტატის უსაფრთხოებასა და საკვებ ბაზაზე, რომელიც ასევე წყლის ცხოველები არიან. საერთოდ არ არის განხილული პროექტის ზემოქმედება წყლიან ეკოსისტემებზე დამოკიდებულ სხვა, იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე.

- ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო წყლის ჰაბიტატზე სასიცოცხლოდ დამოკიდებულ სახეობებზე, თევზებზე, ასევე ამფიბიებზე, ხოლო ძუძუმწოვრებიდან - წავზე. ამფიბიებიდან, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს წითელ ნუსხაში შეტანილ კავკასიურ სალამანდრაზე, ვინაიდან მდინარის კალაპოტში წყლის 10%-ის დატოვებას შესაძლოა მოჰყვეს მახლობელი ნაკადულების დაშრობა, რომლებიც ამ სახეობის ჰაბიტატს წარმოადგენენ. ეს კი, გამოიწვევს ამფიბიების პოპულაციების განადგურებას. ზეგავლენის დასადგენად, აუცილებელია მდინარის ხეობის იმ ნაწილის საგულდაგულო გამოკვლევა (მდინარის ორივე ნაპირიდან მინიმუმ ერთი კილომეტრის მანძილზე), რომელიც დერივაციის ზეგავლენის ქვეშ ჰყვება, რათა გამოვლენილ იქნეს მოწყვლადი სახეობების ჰაბიტატები, დაიგეგმოს სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებები, ან შეუქცევადი დეგრადაციის შემთხვევაში, გამოტანილ იქნეს უარყოფითი დასკვნა. გარდა ზოოლოგიურისა, ასევე, აუცილებელია ჰიდროლოგიური კვლევის ჩატარება, რათა დადგინდეს, რა ზეგავლენას მოახდენს მდინარე კინტრიშის შენაკადებზე მდინარის დერივაცია. ასეთი კვლევა საჭიროა თევზებისა და წყლის სხვა სახეობების მდგომარეობისა და საფრთხეების განსაზღვრისათვის.

ზოგადად, დერივაციული ტიპის ჰესები ძლიერ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ევრაზიული წავის პოპულაციებზე, რომელიც დაცულია არამარტო ეროვნული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო კონვენციებით (მაგალითად, ბერნის კონვენცია), ასევე შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში. ეს სახეობა რამოდენიმე ხასიათის ზეგავლენას განიცდის:

- საკვები ბაზის (წყლის უხერხემლოები, თევზები) შემცირება, რაც აუცილებლად ახლავს თან ასეთი ტიპის მშენებლობას;
- საბინადრო არეალში გადაადგილების შეზღუდვა (გზების გაყვანა და ა.შ., მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ტრანსპორტის მოძრაობა);
- სიკვდილიანობის გაზრდა სადერივაციო არხში და ჰესის კონსტრუქციებში მოხვედრის შედეგად (ამ საფრთხის არიდება შესაძლებელია);
- ცხოველის სასიცოცხლო სტაციების (მაგალითად, გამრავლებისა და დასასვენებელი ადგილები) გადანდგურება ან დეგრადაცია.

აღნიშნული საფრთხეების/რისკების შემცირება შესაძლებელია, თუ საფუძვლიანი გზშ კვლევისას გამოვლინდება ამ სახეობის სასიცოცხლო სტაციები, დაადგინდება მათთან დაკავშირებული საფრთხეები და განისაზღვრება მათი პრევენციისათვის აუცილებელი ქმედებები. მაგალითად,

ევროპაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მიღებულია წყლის აღების წერტილის მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა ბადეებით (მაგ., 300 მეტრი მდინარის ორივე მხარეს), რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების მოხვედრა სადერივაციო არხში, რაც მათ დაღუპვას (დახრჩობას) გამოიწვევდა.

- ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „*ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ადრე მდინარე კინტრიშში საქვირითედ შედიოდა შავი ზღვის ორაგული, თუმცა ამჟამად ეს სახეობა არ გვხვდება*“. აღნიშნული მტკიცება ძალზე გაუგებარი და სადავოა, ვინაიდან ყველა არსებული ლიტერატურული წყარო[1] ადასტურებს, რომ მდ. კინტრიში წარმოადგენს ამ სახეობის ძირითად საქვირითე ჰაბიტატს. შემდეგ კი ანგარიშის 3.3 ქვეთავში მოცემულია, რომ „საპროექტო უბანზე ორაგულის ჯიშის თევზების დაუბრკოლებელი მიგრაციისათვის საჭიროა მდინარეში 1,25 მ3/წმ-ის ტოლი წლის ხარჯის ან 0.5 მეტრი სიღრმის შენარჩუნება“. სრულიად გაუგებარია ჯერ რის საფუძველზე დაყრდნობით ამტკიცებს ავტორი, რომ მდინარე კინტრიშში თევზის აღნიშნული სახეობა არ გვხვდება და თუკი არ გვხვდება, მაშინ საერთოდ გაუგებარია რატომ საუბრობს აღნიშნულ მდინარეში ორაგულის მიგრაციაზე. ვინაიდან შავი ზღვის ორაგულის საბინადრო სხვა მდინარეები სერიოზულად დეგრადირებულია, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრების თანახმად, მდ. კინტრიში ამ თევზის ბოლო საქვირითე ჰაბიტატია შავი ზღვის აუზში. ამდენად, გაუგებარია, რა მონაცემები აძლევს გზშ ანგარიშის ავტორებს საფუძველს განაცხადონ, რომ მდინარე კინტრიშში შავი ზღვის ორაგული გადაშენდა და შესაბამისად, არ საჭიროებს გაფრთხილებას.

- წარმოადგენილი პროექტის მიხედვით, პროექტი წარმოუდგენელ ზიანს მიაყენებს მდინარის ჰაბიტატს (გვ. 24). „სანიტარიული ხარჯის სიდიდე, რაც საორიენტაციოდ მიღებულია 1,25 მ3/წმ-ის ტოლი. სანიტარიული ხარჯის სიდიდე მიღებულია <u>მეთევზეთა რეკომენდაციით,</u> რომელთა განმარტებით საპროექტო უბანზე ორაგულის ჯიშის თევზების დაუბრკოლებელი მიგრაციისთვის საჭიროა მდინარეში 1,25 მ3/წმ-ის ტოლი წყლის ხარჯის ან 0,5 მეტრი სიღრმის შენარჩუნება. ჩატარებული გაანგარიშებებით დადგენილია, რომ მეთევზეთა მიერ მოთხოვნილ, მდინარეში შესანარჩუნებელ სიღრმეზე, სხვადასხვა კვეთში გაედინება წყლის ხარჯი 5,70 მ3/წმ-დან 14,6 მ3/წმ-მდე. მდინარეში წყლის ამ რაოდენობის დატოვების შემთხვევაში კი ჰესის მშენებლობას აზრი ეკარგება. <u>ამიტომ, პროექტის მთავარი ინჟინრის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დერივაციის უბანზე მდინარის კალაპოტში ვიწრო არხის მოწყობა, რომლის სიღრმე და სიგანე თევზის ნებისმიერ სახეობას დაუბრკოლებელი მიგრაციის საშუალებას მისცემს.“</u> მდინარის კალაპოტის დარღმავება, სავარაუდოდ მძიმე ტექნიკისა და აფეთქებების გამოყენებით, აბსოლურირად მიუღებელია და შეუთავსებელია თანამედროვე გარემოსდაცვით მოთხოვნებთან.

[1] იხ. საქართველოს თევზების ანოტირებული ნუსხა: N. Sh. Ninua, B. O. Japoshvili, 2008, CHECK LIST OF FISHES OF GEORGIA, Proceedings of the Institute of Zoology XXIII Tbilisi, pp. 163- 176.

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ გზშ ანგარიში გაჯერებულია, სავარაუდოდ, სხვა პროექტების გზშ ანგარიშებიდან ან/და სახელმძღვანელოებიდან გადმოტანილი უსარგებლო ტექსტებით (ასევე, სავარაუდოდ, გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების დასაფარად), რაც ხელს უშლის მკითხველისთვის სასარგებლო, უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმას.

წარმოდგენილი გზშ ანგარიში ძალზე დაბალი ხარისხისაა და ის არ იძლევა ინფორმაციას პროექტის გარემოზე ზეგავლენის მასშტაბისა და მნიშვნელობის შესახებ. იგი არ პასუხობს დადებითი ეკოლოგიური დასკვნის მიღებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, მისი წარმოდგენილი სახით წარდგენა კომპეტენტურ ორგანოებში, ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია.